ფასი ყველგან 10 კ.

მათრახი

სახუმარო გაზეთი

№ 4

კვირა, 12 ოქტომბერი 1908 წ.



ს ა ვ ა ჭ რ ო გ ზ ა.

წვრილ-ბურჟუათა „ჭირისუფალნი“.

სოსიკო. მოქალაქენო,
 წვრილნო და ბრძენნო,
პატივცემულნო წევრებო ჩვენნო!
 ცხოვრების სრბოლამ
 და ცხარე ბრძოლამ
საშიარ გზაზე თქვენ დაგაყენა;
 და სრულ ჭკუათა,
 წვრილ ბურჟუათა
აღარც კი გესმით აზრი და ენა.
 მის იდეალებს
 ჩვენ სატრფიალებს,
ზურგი აქციეთ და განუდექით,
 ერთად ერთიდან,
 სავაჭრო გზიდან,
მუშებისაკენ გადაგვიდექით.

. დღეს კი სხვა გვმართებს...
. რისხვა წარმართებს!!!
არარას გვარგებს მათი მოყვრობა,
რა გზით ვიაროთ,
რა ალვიაროთ
ყური დაუგდეთ პართენ მოყობა.

პართენი. წვრილნო და ბრძენნო
მოქალაქენო,
პატივცემულნო ბატონნო ჩვენნო!
მიკვირს მე თქვენნი
ესე საქმენი,
ან კი როგორ არ გამიკვირდება
მამულიშვილებს,
ბურჟუებს წვრილებს
სოციალიზმი რათ ეპივრება?
სხვის იდეალებს
რათ ვაპყრობთ თვალებს,
კარზე დღე გვიდგას ნათელ-მზიანი
და თუ მწამს ღმერთი,
ეს, ერთად ერთი
სავაჭრო გზაა ბარაქიანი.
თქვენ მხოლოდ ერთი
გიხსნით გაზეთი
ოღონდ მოგვეცით საკმაო ზეთი.
და ამ საქმეში
მრავალ ნაგეში,
არც ვიზარალებ, ვფიცავ, ჩემს დღეში.
არ გამოდგება,
მუშებს ფეთება
თუ არ ვუჩვენეთ, ხელს გვიწყობს დროცა
თქვენც აშენდებით,
ჩვენც დავმშვენდებით.
და აყვავდება საქართველოცა.

ი ს ე ვ!..

ლამის გამიტყდა სრულათ იმედი,
მწარე ნაღველმა ამივსო გული,
მკერდზე დავიჭდე ჯვარათ ხელები
და დიდხანს ვიდექ თავჩაკიდული.
ვიდექ შარტოკა მაღლობის წვერზე,
სევდით პყრობილი დავსაქერდი არეს,
ძაძა მოხვეულს, გულ-გადალეულს,
ჩემსავით ტიალს და მგლოვიარეს!..
შორით ხეივანს განმარტოებულს
შვენოდა ნაზი ბულბულის სტვენა,
მაგრამ იმავე მოწყენილობით
ალსავსე იყო მისი მოლხენა!
და ვერ სწამლობდა ის გულს დაკოდილს,
ვერ აქარვებდა ფიქრს მოზვავებულს:
გული შეეპყრო მწარე ტკივილებს,
ფიქრი შერთვოდა ცას გაშავებულს!..
რა მინდოდა მე? მსურდა, მწყუროდა
მხოლოთ სიცოცხლე, ძალთა დულილი!
ლავ კი იყო სამარის მსგავსი
რაობა და მხოლოთ ძილი!..
— „აღსდექ, მონებო!“ მინდოდა მეთქვა,
მაგრამ მე თვითონ მონა ვიყავი:
უიმედობის მწვავე ბრჭყალიდან
ვერ დამეხწია უგუნურს თავი!
სიტყვა გაქვავდა უძრავს ტუჩებში,
შევკრთი! უნებურ შიში ვიგრძენი!..
თავს დავეკითხე: „ნეტა, როდემდის
უნდა ვატაროთ ეგ მძიმე დღენი?!.“
— არა, აწ აღარ... კმარა, რაც იყო!
მაშ ისევ, ისევ მედგარი ბრძოლა!
რას მიქვიან ეს გულჩვილობა და
უიმედობის წინაშე თრთოლა?!
შორს, ეგ მოწყენა! შორს, ეგ დუმილი!
გამოერკვიე ძილისგან, არევ!
მო, მეგობარო! მო, ამხანაგო!
სატრფოვ, სადა ხარ პირმომკინარევ!
მოდით, მომნახეთ თავისიანი!
რწმენით ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელი.
შორს, ეგ უტყვობა! გმირულ ყიჟინით
ავაზღვაუროთ კვლავ ბრძოლის ველი!

ნ. ზომლეთელი

„ბ რ ჯ ვ ა ლ ე ბ ი“

მოწყალენო ხელმწიფენო და ხელმწიფანო!
კარგა ხანია ლექცია
თქვენ ჩემი არა გსმენია
და მსურს რომ გადავიხადო
დღეები განაცდენია.

საგანი დღევანდელი ჩვენი მუსაიფისა იქნება თანამედროვე მწერლობაში ფრიად მნიშვნელოვანი ნიშანი წერისა „**ბრჭყალებათ**“ წოდებული, ეს არ არის ბრჭყალები რომელიმე ფრინველისა ადამიანმა დაინახოს, არ არის არც ბრჭყალები კატისა ხელი დაიკაწროს, არ არის არც ბრჭყალები წურბელა ჩარჩისა, რომელსა შინა მომწყვდევაც მრავალ სახიფათო და საფათარაკოა.

ჩვენ სახეში გვაქვს ბრჭყალები, რომელსაც წერის დროს ხმარობენ და რომელიც დაუფასებელია სიტყვათა გარდაქმნაში. დიდ არს სასწაულთ მოქმედება მისი და აგრეთვე საჭიროება მისი.

მკითხველი, რომელიც კარგად არ იცნობს ბრჭყალებს, შეიძლება უკიდურეს შეცდომაში ჩავარდეს. აი მაგალითისათვის ვთქვათ მან გადაშალა გაზეთი და კითხულობს:

მამულის „ბურჯი“
ნამდვილი გურჯი,
ადამიანი
„ფაქიზ“ ზნიანი,
ჩვენი გუნია
ვალერიანი,
დრამატურგებში „პირველი“ არი.

აქ მკითხველის ყურს მაშინვე მოხიბლავს ისეთი შეუფერებელი ეპიტეტები, როგორიც არის: მამულის ბურჯობა, ფაქიზ ზნიანობა და პირველობა დრამატურგთა შორის. დღეს ვგონებ იშვიათია ისეთი მკითხველი, რომელმაც არ იცოდეს გუნიას ბურჯობა, მისი დრამატურგობა და მით უმეტეს ფაქიზ-ზნიანობა. ეს უკანასკნელი ისე უდგება აღნიშნულ „გმირს“ ჩვენი ცხოვრებისას, როგორც კურტანი ძროხას.

მაშ რაშია საქმე ბატონებო?

საქმე ბრჭყალებშია. გუნიასათვის შეუსაბამო სიტყვებს წინა და უკან რაღაც განსაკუთრებული ნიშნები აქვს დასმული („ “). აი ამ ნიშნებს ჰქვია ბრჭყალები. სიტყვა, რომელიც ამ სამკაულში ზის, თითქმის ყოველთვის მოწინააღმდეგე მნიშვნელობით იხმარება ხოლმე.

ამ განმარტების შემდეგ ადვილი გასაგებია ზემო აღნიშნული ლექს-ნაწყვეტის ნამდვილი აზრი და იმედია განცვიფრებასაც არავის მხრივ არ გამოიწვევს.

მოვიყვანოთ კიდევ შესაფერი მაგალითები.

ვასილ, დავით და ნიკოკი
(ოზურგეთელი სამები!)
ისე „იღწვიან“ ქვეყნისთვის,
რომ „გული დაგეამება“.

თუ მკითხველს „ბრჭყალებთან“ ნაცნობობა არა აქვს ხოლო ოზურგეთელი სამების მოღვაწეობასთან კი,—ერთს ლაზათიანათ შეუკურთხებს ამ კუპლეტის მომგონს. „სად აღნიშნული პირები და სად მათი მოღვაწეობით გულის დაამებაო“ იტყვის ის და სამართლიანი შენიშვნაც იქნება. „არ ცოდნა არ ცოდვაო“ ამბობს ანდაზა და მასაც მიეტევება ასეთი გულის წყრომა, რადგან ბ-ნ ბრჭყალებს არ იცნობს და მას ბიერ მოხდენილი ცვლილება არ ესმის. სამაგიეროთ როცა გაიცნობს და გაიგებს, რომ ღვაწლი აქ ბრჭყალებში ზის და „გულის დაამებაც“ ამ სამკაულით არის დამშვენებული გაიცინებს და იტყვის: „აი ააშენა ღმერთმა შენი ოჯახიო“, თუმცა ამით ჩემს ოჯახს ბევრი არაფერი შეემატება.

ჩავყვეთ ქვევით:

დაბისა ჩვენის პრისთავსა
ქრთამები „ეთაკილება“
სამი მანეთის ალაგას,
თუმანიც ალარ ინება.

განა ვინ არის ისეთი სულელი, რომ ეს ლექსი დაიჯეროს, მაგრამ ეჭვში მაინც ბევრს ჩააგდებს და აფიქრებინებს: „ვინ იცის, იქნებ მართლაც არის სადმე ისეთი ბოქაული, რომელსაც ქრთამები ეთაკილებაო“. რა თქმა უნდა უსაფუძვლო ეჭვია, მაგრამ ბეჭდვითი სიტყვას ბევრი უჯერის და როცა ასეთ კუპლეტს წაიკითხავს უნებლიეთ დაეჭვდება. სამაგიეროთ როცა სიტყვა „ეთაკილება“-ს ბრჭყალებში დაინახავს და ბრჭყალების სასწაულთ მოქმედებაც ეცოდინება, უსაფუძვლო ეჭვებსაც გულიდან გადიკრის და ბოქაულზე ასეთ უსამართლობას გუნებაშიაც ალარ გაივლებს.

ერთი ნიმუში კიდევ:

„სიკეთე“ რეაქციისა
ენით არ აიწერება:
წელში გამართა „საწყალი“
ხუცები ცანცარა-წვერება,
„ცხენის მოხელე“ ვაჟკაცებს
მხარს ჩინი დაეკერება
„შემონახული“ მენდლები
დაიხეხ-დაიფერება.

ბატონებო და ქალბატონებო! უკვე თქმულისა და განმარტების შემდეგ მე მგონია ახლა ადვილათ გაიგებთ ზემორე ლექსის ნამდვილ აზრს და მიხვდებით, თუ ჯერაც მიმხვდარი არა ხართ, რას ნიშნავს: „სიკეთე“ რეაქციისა, „ცხენის მოხელე“ ვაჟკაცი და სხვ. შეიძლება ცოტა შეგაფერხოსთ „შემონახული მენდლების“ გამოცნობამ, მაგრამ არა მგონია! უეჭველათ გეხსომებათ განვლილი ხანა ერთობისა, როცა ჯვარ-მენდლებს გამოჩენა ვერაფერი სანაქებო საქმე იყო. უფრო „ჭკვიანმა“ ადამიანებმა ძველ დროში შეძენილი ჯვარ-მენდლები შავი დროისათვის შემოინახეს და მართლაც შავ დღეებს დიდი არ დაგვიანია. წაიქცა თუ არა ერთობა, ჭკვიანი კაცები მყის შეუდგენ მცირე ჟანგ-მოკიდებულ მენდლების ხეხვას, რაიკა „პოეტურად“ არის გადმოცემული ზემოთ ამოყვანილ ლექსში.

მაშ ეგრე: საჭიროა გაცნობა ბ-ნი ბრჭყალებისა, რომ გავიგოთ ნამდვილი აზრი დღევანდელი სიტყვა-კაზმული მწერლობისა.

ლექტორი.

პატარა ფელეტონი.

ექიმი სიჭინავა.

ისტორიაში ჩავარდნა რომ ადვილი საქმე იყოს, კარგი თქვენ მოგიკვდესთ, კარგი იქნებოდა, მაგრამ „უმეტეს შესაძლოა აქლემისათვის გაძრომა ნემსისა ყუნწად, ვიდრე უბრალო მომაკვდავისათვის ისტორიაში ჩავარდნა‘‘.

და მართლაც ჩვენსა სამშობლოს
ცოტა ასხია მკურნელი,
ისტორიაში ჩაჯდომის
სულით და გულით მსურველი?!

ჭაი, ჭაი, რომ ბევრია მაგრამ განგებამ ეს ბედნიერება ათასში მხოლოდ ერთს არგუნა და ეს ერთიც ახალ-სენაკელი ექიმი სიჭინავაა.

ბედი ჩვენს ექიმს დაბადებიდანვე თან დაჰყოლია და ხელ-მოკლე (ალბათ!) ოჯახის შვილი ღირსი გამხდარა სარაჯიშვილის სტიპენდიისა, თუმცა სტიპენდიის შოვნა კი არ არის საქმე, საქმე მისი მოხმარაა და ბ-ნი სიჭინავაც საკმაოდ ჩაუფიქრდა ამ ძნიად კითხვას.

— სტუდენტობის გათავებამდე ხომ ულუფას ვერავინ წამართმევს, მაგრამ შემდეგ კი... ფიქრობდა ახალგაზრდა ჭაბუკის ნორჩი გონება, და მწველი დარდებისაგან თავი ვერ დაეხწია.

—

ერთ მშვენიერ საღამოს, ახლად კურს დამთავრებულსა და დიპლომ მიღებულ ექიმს გამოეცხადა ეშმაკი და მოახსენა:

— მარქვი, ჭაბუკო,
რათ შეგიკრავს შუბლის დარები,
რომ გაგიკურნო
გულის სევდა და იარები!

ახალგაზრდა ექიმი შეკრთა, მაგრამ ჩქარა ისევ გონს მოვიდა და გახალისდა. შუბლი გაეხსნა, სახე განათლდა და აღტაცებული ხმით დაიწყო:

— სულო ბოროტო... უკაცრავათ...
სულო კეთილო,
ჩემ სანუგეშოდ ქვეყანაზე
ჩამოთესილო!
მარქვი, რადა ვქნა, სტიპენდიის
გათავდა ვადა,
შინისკენ მივალ და შინაც ხომ
,,კარმიტსა ნადა?‘, *)
მასწავლე რამე, რომ ეგ ფული
იქაც მდიოდეს,
რომ შენ გილოცო და მზე შენზე
ამომდიოდეს.

*) ქართულათ რომ ვთქვათ: „შინაც ხომ ჭამა მინდაო“.
ეშმ.

(ეშმაკმა ნელა ჩაიცინა
ულვაშებში...
სიამოვნების ცეცხლმა დაჰკრა
ცბიერ თვალებში).

— დიდის სიამოვნებით, ძმობილო, ეს საქმე ჩემზე იყოს! ამისთანაებში დიდი მაქვს გამოცდილება, უთხრა მან ექიმსა; ხი დამიგდე ყური: შენ რომ სტიპენდიის ადრესი შეუცვალო და კიევის მაგივრათ ახალ-სენაკში გამოიწერო, თუმცა ბებრები და დაუდევრები არიან სარაჯიშვილის კამისიაში, მაგრამ მაინც მიგიხვდებიან. სულ სხვა იქნება თუ შენ აქაურ, კიევის, ფოსტას გააფრთხილებ, რომ შენ სახელზე მოსული გროშები სენაკში გამოგზავნონ.

ამგვარი ხერხით, მეგობარო,
მოითბობ ხელებს,
და კომისიაც, მერწმუნე, თავს
არ გაიცხელებს.

ითქვა და აღსრულდა. ეშმაკის რჩევა ჭკუაში დაუჯდა ახალგაზრდა ექიმს და შინ დაბრუნებისას კიევის ფოსტას განუცხადა: ,,აქ ჩემ სახელზე მოსული ფულები ახალ-სენაკის უნივერსიტეტში გამომიგზავნეთ, ვინაიდან ბაბუა მომიკვდა და იქ გადავდივარ საექიმო ფაკულტეტზე‘‘. ფოსტის კანტორას რა ენაღვლებოდა, მიიღებდა კონვერტს და დააწერდა: ,,ახალ-სენაკის უნივერსიტეტშიო‘‘ და ფოსტას უკანვე მოჰქონდა.

ასე ივარჯიშა ახალგაზრდა ექიმმა ერთი წლის განმავლობაში, თუმცა მარტო ეს არა ჰქონდა სავარჯიშოთ. ის კერძო ავათმყოფებსაც ნახულობდა და იმათგანაც საკმაო სტიპენდიას იღებდა. ამგვარათ, ყველაფერი მშვიდობიანათ და სასურველათ მიდიოდა.

მაგრამ ერთი დრო ვის შერჩენია!

თავისი გაკეთებული საქმე ეშმაკმა თითონვე წაახდინა. სხვ სთან ვისთან გაუტანია ეშმაკს მეგობრობა, რომ ექიმის საიდუმლოება შეენახა. ადგა და ჯერ თითონ მისწერა სარაჯიშვილის სტიპენდიათა გამნაწილებელ საბჭოს, თხოვნა: ,,როგორც ღარიბ სტუდენტს, მომეცით ბ-ნი სიჭანავას მიერ სამემკვიდრეოთ მითვისებული სტიპენდიაო‘‘, მაგრამ, როცა ამან არ გასჭრა, ფოსტის უფროსს შეუძვრა თავში და მიაწერია იმავე კომისიისათვის; „ბატონებო! სიჭინავას ფულები პირდაპირ სენაკში გამოაგზავნეთ, რადას გვახთაბალებთ აქედან კიევში და კიევიდან აქეთ თრევითაო“.

მოხუცებულებმა ყურები გამოიფხიკეს და ცხვირზე სათვალე ჩამოდგმულნი წიგნებში ქექას შეუდგნენ.

—

მძიმე შრომისაგან მოქანცულ ექიმს ფოსტალიონმა ფულიანი ბარათი და „ამირანის“ ნომერი შემოუტანა. ხუთი ლუქით დაბეჭდილი მშვენიერი კონვერტი უწინარეს გაზეთისა გახსნა ახალ-სენაკის ახალმა ექიმმა და იქიდან ამოცურებული 25 ქანქარი დიდის მორიდებით

ჩაასვენა ბრტყელსა და სამპიროვან ტყავის საფულეში. ამ საღმრთო მოქმედების შემდეგ ზარმაცად გაშალა რვათ მოკეცილი გაზეთის ფურცელი და აუჩქარებლათ ჩააყოლა თვალი „ახალ-ამბების“ რუბრიკას.

„საზოგადოებას საყურადღებოთ‘‘-ო, შავი ასოებით აღენიშნა გაზეთს და ბ-ნმა ექიმმა, როგორც საზოგადოების წარჩინებულმა წევრმა, უნებლიეთ შეაჩერა თვალები. „ლეიპციგში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდები აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ სტუდენტი ვ. ემუხვარი უსახსრობის გამო უზომო გასაჭირს განიცდის. გთხოვთ დახმარება აღმოუჩინოთ, რომ სამშობლოში დაბრუნება მაინც მოახერხოს‘‘.

— სუ...ლე...ლი! დინჯათ ჩაილაპარაკა ექიმმა. თუ საშვალება არა აქვს, ვინ ეხვეწება საზღვარ-გარეთ წასვლას. სწორეთ გაირყვნა ახალგაზრდობა!..

ზანტათ დაკეცა მან გაზეთი და დამშვიდებული სინდისით იქვე მუთაქაზე მიიძინა.

სარაჯიშვილის სტიპენდიათა გამნაწილებელი კომისია ჯერ კიდევ ქაღალდებში იქექებოდა.

ემმაკი.

ს ა მ ჭ ე დ ლ ო შ ი.

(უძ. ლევან ჩხეიძეს)

პაპანებაა, ზაფხულის
კორიანტელი ტრიალებს.
ქალაქს არ სძინავს, ზღვასავით
ბობოქრობს, შფოთავს, გრიალებს.
აგერ, იქ სამჭედლოშია,
ნაბდისა ქუდი რომ ხურავს,
დილიდან საღამომდისინ
ტანჯვის ძე ოფლსა იწურავს.
საბერველი ჰბერს ქშუილით,
ქურაზე ცეცხლი ბრიალებს,
ცხელ რკინას სჭედავს მარჯვენა
ნაპერწკლებს ისვრის ტკრციალებს.
გუგუნებს ქურა, გუგუნებს
ალი გუზგუზებს ძლიერი,
მის წინ ტრიალებს მშრომელი
ნახევრად მწყურვალ-მშიერი.
შრომობს ის დაუღალავათ
ჟანგიან ოფლსა იდინებს
და სასიამო მომავლის
იმედით ტკბილათ ღიღინებს.

—

საბერველი ჰბერს ქშენითა,
ქურა გუგუნებს, გრიალებს,
მძლავრ-მოქნეული ჩაქუჩი
გრდემლზე ზარივით წკრიალებს.
იბრძვიან! ოფლის ნაკადი
შუბლს ნაღარს ჩამოსწკრიალებს,
გაღეღილ მკერდზე პერანგი
ვით შრომის დროშა ფრიალებს.

გ. ქუჩიშვილი.

ფოთის არტელის ზოგიერთი მუშის სიმღერა.

არტელისა ჭირიმე,
სულში ვენაცვალები,
როცა ,,ყარაულში‘, ვარ
მინათლდება თვალები...
საქონლის ,,გასასინჯათ‘‘
მზათ მყავს ამხანაგები,
გამოწვრთნილი ბიჭები,
ამგვარებში ნაქები.
ჯიბით პლომბი თან მიაქვთ,
ტომარით კართოფილი,
გალესილი მაკტარა
,,საცვეთში‘‘ ჩარჭობილი...
მე აქეთ ,,ვყარაულობ‘‘
იქ კი ჭრიან ცალებსა,
(ან, მითხარით, ხაზეინს
ვინლა შეიბრალებსა?)
ფართლეული, კიდევ რა...
ჩაი, დანა, შაქარი...
რა გინდა სულო, გულო,
რომ ჩვენთან აღარ არი?..
მათ მაგივრათ კარტოშკებს
ჩააწყობენ ცალებში...
რა კარგია არტელი,
ვენაცვალე თვალებში...
ცოლშვილი შევიმოსეთ
,,ნაშოვნი‘‘ საქონელით...
ვშრომობთ, მაშ რაღა არის,
ჩვენი მარჯვენა ხელით...
არტელისა ჭირიმე,
სულში ვენაცვალები,
როცა ,,ყარაულში‘‘ ვარ
მინათლდება თვალები...

შეარგოს?

ქართველი იეზუიტი.

„ჯერ ეს „პეწაწავე“
რას შვება წყეული,
ერთთავად ცბიერობს
ენადა ქცეული,
სტყუის, არ წითლდება,
ცრუ მეტყველია,
იეზუიტ იქნება უეჭველია.
(მიბაძვა ჩიორასი)

ის თითქო დაბადებულა ამ წმინდა ორდენისათვის მისი გარეგანი შეხედულება, ზნე-ჩვეულება, მოქმედება, აზროვნება, ლაპარაკი, წერა,— ერთი სიტყვით მთელი სულიერ-ხორციელი არსება აშკარათ მტკიცებს მის ჩვეულებრივ იეზუიტობას.

ცბიერი სახის გამომეტყველება, მუდამ ურცხვენელი და ეაუწითლებელი, ცულლუტი, მატყუარა ქვეშ-ქვეშ გამომყურე, თვალები, რიჟა პატარა წვერი და ასეთივე, დაბლა დაშვებული ულვაშები, თითქო გასგებ შეუხამებია ბუნებას მისი იეზუიტური ხასიათისთვის და მით საერთო ჰარმონია დაუმყარებია

მისი ტკბილი, ყალბი კილოთი შეზავებული ხმა, ნაძალადევი და უგემური ღიმილი, მისი ნელი და შემპარავი სიარული, იმისი ლაქუცი და უთაკილობა, ზედმეტი სამკაულია იეზუიტური მისი ბუნებისა.

მიუხედავათ იმისა, რომ დღეს-დღეობით, ის ქართველ „რაინდთა“ წოდების მედროშეთ გამოსულა, ნანახნად მისი იეზუიტური ბუნებისა, მაინც მოკლებულია თვით ნამცეცს კეთილშობილურ-რაინდულ თვისებისას. ასეთი ადამიანი ყოველთვის საშიშარი მტერია. ის მუდამ ქამს გულის სიღრმეში ატარებს სხვათა მტრობასა და სიძულვილს, მუდამ მზათ არის შხამით დაგესლოს მოპირდაპირე, მაგრამ ყოველთვის ჩუმათ და დროს შერჩევით. აშკარა და გაბედული ბრძოლა მისთვის შეუძლებელი საქმეა.

როგორც საზოგადოთ ყოველი იეზუიტი, ისეც არასოდეს არ არჩევს ბრძოლის საშუალებას. მისთვის ერთნაირად საკადრისია ყოველგვარი საქციელი, ოღონდ მტერს კი აწყენინოს, ოღონდ მოპირდაპირე კი დაამარცხოს. პირ წავარდნილი ტყუილი და შუბლგარეცხილი ღალატი მისთვის ისეთივე ადვილ ხელ წამოსაკრავი და სავარჯიშოა, როგორც ჩვეულებრივი ადამიანისთვის ალალი სიმართლე. ასეთია ყველა იეზუიტის ხასიათი და სად გაექცევა!

როცა მას გზათ მიმავალს, ან მოსაუბრეს, ან მოკამათეს ხედავ, უნებლიეთ გებადება თავში: ოჰ, როგორ შემცდარა ბუნება, რომ ამისათვის ღვანღვალო მელიის კუდი არ გამოუბამსო! ეს მისი არსებითი ნაკლულევანებაა, მაგრამ მასთან მოსაუბრე თითქო გრძნობს, რომ ეს არ არსებული ორგანო ქართველი იეზუიტისა ნელა და ცბიერათ ქანაობს მის უკან, და სავსებით ხატავს პატრონის ბუნებასა. თურ სულის კვეთებას. საჭიროა აღინიშნოს, რომ ნაკლი უკუდობისა თუმც დიდია, მაგრამ ჩვენი იეზუიტის ღირსებას ამით ბევრი არაფერი აკლდება.

„ადამიანის სახე სულის სარკეაო“ უთქვამს ვილაცას და ზემო აღწერილ იეზუიტურ სარკეში მართლაც რომ ბუდობს ქეშმარიტ იეზუიტური სული. მაშ განვიხილოთ მისი სულიერი მოღვაწეობის ნიმუშები და ნათელ ვყოთ იმისი სახის მართლსარკეობა. რა თქმა უნდა აქ აზრად არა მაქვს მოღვაწის საერთო დახასიათება. შევეხები მხოლოთ ზოგიერთ ფაქტებს, რაიცა საკმაო იქნება მისი ღირსების დასაფასებლათ. პირველ ყოვლისა ის, რედაქტორია, რუსული გაზეთისა, მაგრამ როგორც ქართველ თავად-აზნაურობის მედროშე, და „ქეშმარიტ-ქართველთა“ ჭირისუფალი, ქართველ „მოღვაწეთ“ უნდა ჩაითვალოს.

მე არ ვიცი რამდენათ მდიდარია საკუთარი საკუჭნაო ბ-ნი იეზუიტისა, მაგრამ ის ცხადია, რომ მას ძლიერ ეხერხება სხვის ჯიბესთან მიცოცება. ასე იყო მაგალ. როცა ის ფ. გოგიჩაიშვილთან ერთად „ივერიას“ ანახლებდა ზუბალაშვილის მიერ ნაბოძები თანხით. მაშინ (1905 წ.) სხვა სიო ჰქროდა და ჩვენი იეზუიტიც სხვა კილოზე გალობდა, თუმცა უფრო ხშირად თვით გალობასაც ერიდებოდა. როგორც ბუნებით ლაჩარი და ხასიათით იეზუიტი, ის ვერ ბედავდა მაშინ თავისი ნამდვილი აზრის გამოთქმას, თუმცა გული შხამითა ჰქონდა აღსავსე.

ასეთია იეზუიტის ბუნება!

იცვალა დროება! საამო სიოს საზარელი ქარიშხალი მოჰყვა და დამფრთხალი შავი ძალა სინათლეზე ამოძვრა. ხალხის ხმა მისწყდა, მიყუჩდა, სვავებმა იწყეს ყაყანი, იეზუიტებსაც დარი დაუდგათ! გულის სიღრმეში ჩაკვერილ შურსა და მტრობას, გესლსა და შხამს გზა გაეხსნა. ქართველი იეზუიტი უცებ „კაცი შეიქნა“ და საზოგადოებრივ აზრის გამომხატველად თავს ირიცხავს.

ასეთია იეზუიტის ბუნება!

სიმართლისათვის მებრძოლთა რაზმი თხელდება! გული იეზუიტისა განიხარებს, მედიდურდება, ნიღაბს იხდის! თითოეული წაქცეული მეომარი, თვალებში ნეტარების წყალსა ჰგვრის, გულს უხალისებს, სულს უტკბობს და ნაკადული იეზუიტურ გრძნობათა მჩქეფრათ გადმოდის ბაგეთა მისთაგან. იცის რომ სტყუის, მაგრამ არ წითლდება, იცის რომ ყალბობს, მაგრამ არ სცხვენია, იცის რომ მუხანათობს მაგრამ არა კრთება!

ალბათ ასეთია ყველა იეზუიტის ბუნება!

უმთავრესი საგანი იეზუიტის გრძნობათა ვარჯიშობისა ჩვენი დეპუტატებია, საზოგადოდ კი „ერთი ადგილობრივი პარტია“ („უფრო ჭკვიანების“ გამოკლებით). მან, როგორც გამოცდილმა იეზუიტმა, ჩინებულათ იცის, რომ დღევანდელ პირობებში მისი მტრები მოკლებულნი არიან თითქმის ყოველგვარ საშვალებას საკადრის პასუხის გასაცემათ და ეს უდგამს სულს, ეს ამხნევებს მას. მან მშვენივრად იცის, რომ ჩვენ ორ დეპუტატს არაფრის გადაწყვეტა არ შეუძლია იქ, სადაც ოთხასი მათი მოწინააღმდეგე ზის, მაგრამ იეზუიტი რის იეზუიტია თუ ურცხვათ და უტიფრათ აშკარა უსამართლობას არ ემსახურება. მან ისიც კარგად იცის, რომ დუმის ს. დ. ფრაქცია მიუხედავათ ყოველგვარი ნაკლულევანებისა მესამე სათათბიროში მაინც ყველაზე უფრო დემოკრატიული და ხალხის მოსარჩლე ჯგუფია, მაგრამ იეზუიტი ხომ ვერ გადაახტება თავის ბუნებას და სიმართლეს თვალს ხომ ვერ გაუსწორებს!

ასეთია მათი იეზუიტური ბუნება!

განა ქართველმა იეზუიტმა არ იცის, რომ ჩვენმა დეპუტატებმა ითხოვეს მოხსენების წაკითხვის ნება-რთვა? ჰაი, ჰაი რომ იცის. და განა ის კი აღარ იცის, რომ სხვა გზით ამ სურვილის სისრულეში მოყვანა შეუძლებელი იყო? ჰაი, ჰაი რომ ესეც იცის, მაგრამ „ჩვეულება სჯულთ უმტკიცესია“ და მისს ღვარძლით აღსავსე გულს სიმართლის სხივი ვერა და ვერ გააშუქებს. ის დღესაც უსაყვედურებს დეპუტატებს, რატომ მრჩევლებს ანგარიში არ მიეცითო.

კარგი რამ სჭირდეს ვიკვირდეს, ავი რა საკვირველია.

ყველაზე უმეტეს დამახასიათებელი ქართველი იეზუიტის იეზუიტური ბუნებისა, მისი უკანასკნელი წერილია. წერილი გეგეჭკორის საპასუხოთ დაწერილი.

პატიოსან ადამიანს გული აერევა, როცა ამ იეზუიტური გაიძვერობით აღსავსე წერილს წაიკითხავს. ასეთი ზნე „ზაკ. ობოზრენიეს“ წინაპრებსაც სჩვევიათ, მაგრამ ეგზომ სიურცხვე არც ბ-ნ გოთუას ჩაუდენია ს. ჯაფარიძის მიმართ.

საქმე სულ უბრალო გახლდათ. დეპუტატ გეგეჭკორს დუმის თავმჯდომარე ხომიაკოვთან ლაპარაკი მოუვიდა. ჩვენი იეზუიტები, რასაკვირველია, სანთლით ეძებენ ისეთ ამბავს, რომლითაც მის მოწინააღმდეგეს თუნდ ოდნავაც არის ჩირქი მოეცხება ხალხის თვალში. ამ საშვალებით ისინი ვითომ სადეპუტატო გზას იკაფავენ. ქართველმა იეზუიტმა, რაღა თქმა უნდა მსწრაფლ გამოჭიმა ეს ცნობა თავის ორგანოში იმ სახით, როგორც რუსული გაზეთები სწერდენ. მაგრამ დახე იეზუიტის უბედურებას! თურმე ნუ იტყვით ინციდენტის სინამდვილე სულ სხვაგვარი ყოფილა და გაზეთების ცნობა განზრახ თუ უნებლიეთ დამახინჯებული. რუსეთის გაზეთებმა დაკმაყოფილეს გეგეჭკორის სამართლიანი მოთხოვნა და უკვე აღნიშნეს თავისი შეცდომა. მოსალოდნელი იყო ჩვენი ზუბრიეზუიტების ორგანოც ალაგს მისცემდა დეპუტატის წერილს და მით სიმართლეს აღადგენდა. მოსალოდნელი იყო ეს. რასაკვირველია პატიოსნების მეტონე ადამიანისაგან და არა საშვალებაში განურჩეველ იეზუიტისაგან.

მაშ იეზუიტი რიღას იეზუიტია?!

ჯერ ითრია ფეხი მათმა ბრწყინვალებამ და ბოლოს ეს იყო უპასუხა: „თქვენი წერილი შეცდომებით იყო სავსე და არ მეგონა თუ მართლა თქვენი ნაწერი იყო. ვინმე უვიცს შეცდომაში შევყავდი მეგონა და წერილს კალათაში ვუკარი თავიო“. აქ დაკვირვებაც აღარ არის საჭირო, რომ შიშველი სახე იეზუიტისა თვალ-წინ დაგიდგეს და ღირსიც სხვისა არაფრისაა, დაგრჩენია მხოლოდ იმ ფილოსოფოსს მიბაძო, რომელმაც კრეზის სასახლეში სხვა დასაფურთხი ალაგი ველარ მოძებნა, გარდა თვით კრეზის სახისა და თანაც მიაყოლო:—ფუი შენს მწერლობასა და შენს ზნეობას თქვა.

ამით ქართველი იეზუიტი რასაკვირველია ვერც ჭკვას ისწავლის და ვერც თავის გაიძვერობას მოიშლის, მაგრამ ამისი იმედი არც არავისა აქვს; იმის მაგივრათ, რომ უსამართლოდ მიყენებული შეურაცხყოფა ადამიანს თავიდან ახსნას, ჩვენი ქართველი იეზუიტი ახალ ცილისწამებას იგონებს, ახალ უსირცხვილო ჭორსა თხზავს.

ღმერთმა ხელი მოუმართოს!!

„არ გათეთრდება ყორანი
რა გინდ რომ ხეხო ქვიშითა“
არ გასწორდება „მწერალი“
იეზუიტური ჯიშითა.

ხოლერა.



ოსმალოს „ჭირისუფლები“.

(მესტვირული).

კვლავ აირია ქვეყანა,
დუნია გადასხვაფერდა,
კვლავ გაჭაბუკდა ოსმალო
თუმც ჭირ-ვარამში დაბერდა.
კონსტიტუცია იხმარა
მან განახლების წამალად,
შემოირეკა მდევები
უწინ რო ერტყენ ამალად.
უთხრა მათ: „ჭირისუფალნო“,
მეყო აწ თქვენი ნანაო,
მადლობას გწირავ „მოვლისთვის“
გემშვიდობები თანაო.
ვეცდები ჩემ ჭირ-ვარამზე
თვით გავანძრიო ხელიო,
მიბრძანდით, ნულარ სწუხდებით
ვარ დიდათ მადლობელიო“.

შეფიქრდენ „ჭირისუფალნი“
არ ეჭაშნიკათ თქმულება,
განკურნებული ოსმალო
ჯერ არვის დაეგულება.
მსწრაფლ შეკრბენ, ბევრი იმსჯელეს,
რა მოახერხონ, რა გვარა,
როგორ დასტოვონ ოსმალო
თავისი თავის ამარა.

ყველამ გამოსთქვა აშკარათ
ეჭვები დანაბადები,
არ დაუმალავთ არც ერთი
მცირედი გულის ნადები.

ავსტრიამ უთხრა: „ძმობილო!
მომწონს ეგ შენი ალღოვო,
მაგრამ მსურს ჰერცოგოვინა
ჩამოგჭრა გაგისაღოვო.
აბა რათ გინდა ხორცმეტი,
გაგტანჯავს, გაგამწარებსო...
ტყუილათ ხომ არ გავაცდენ
იქ ჩაყენებულ ჯარებსო.
შემოვიერთებ ბოსნიას
მით შეგიმცირებ ჭირსაო
ხომ არ გეწყინა ძმობილო?
სახე რათ ჩამოგტირსაო“.

(ველარ დამალა ოსმალომ
სახისა დაღრეჯილობა,
ან კი ვით დასთმოს საბრალომ
ეგზომ საგრძნობი ჭრილობა).

აქ საბერძნეთმა დაიწყო:
„ჩემო ნამგალა მთვარეო!
ვხედავ კრიტოსის კუნძული
შენ ველარ მოიხმარეო;
გული მიკვდება რომ გხედავ
ტვირთ მძიმეს, დაქანცულსაო,
გამაგრდი ძმაო, გამაგრდი
ნუ გაიტეხავ გულსაო.
ჩამოგხსნი ოხერ კუნძულსა...
დაე მე გავწყდე წელშიო,
ოღონდ კი გეძმო მეგობარს
შავ დღეს და განსაცდელშიო“.

წარბი შეიკრა ოსმალომ
თავს ძლივ-ძლიობით დასძალა,
მაგრამ აქ ბოლგარიამაც
დიდი ხნით ალარ აცალა
და მოახსენა:
—ძმობილო!
ალარ მჭირია ძიძეო,
მითხარ: რათ გინდა, გენაცვა,
რკინის გზა ამისიგძეო.
ჩამოვჭრი რუმელიისას
მით შეგიმჩატებ ჭირსაო
ჭრილობის განსაკურნავათ
ფულს მოგცემ რაცა ღირსაო.
მეც სრულად ჩამოგშორდები,
რათ მოგაბეზრო თავიო,
იმისიც მადლობელი ვარ
სიკეთე რაც მიყავიო“.

ვერც კი მოასწრო ოსმალომ
განრისხებ-გაცაჯავრება
შეხედა რომა რუსეთი
ტკბილი ხმით ემუდარება.
—„ძვირფასო ალა ოსმანავ!
ვხედავ გაგიშრა ყელიო,
უნდა გაიხსნას უთუოდ
ეგ სრუტე დარდანელიო.

გარდა ამისა, ძმობილო,
ისიც მაქვს სათხოვნელიო,
რომ საზღვრებს კავკასიისას
არ მიაკარო ხელიო.
კარგათ გახსოვდეს ეგ რჩევა,
მეგობარი ვარ ძველიო
ნუ იწყენ მეტი პატივი
თუ ველარ შევიძელიო,
მეც ავათა ვარ ძმობილო
ვერ ამიღია წელიო,
„კონსტიტუცია“ გამიდგა
აგერ მესამე წელიო“.

აქ „ახალგაზრდა ოსმალომ“
ბევრი არ აცივ-აცხელა,
ზურგი აქცია მეზობლებს
ინგლისი შეასახელა.

—შენი იმედით ვცოცხალ-ვარ
ჩემო ზღვის-მეფევ, ძიაო
„ჭირისუფლებში“ მარტო შენ
არარა მოგიწიაო.

მიშველე რამე, დამიხსენ,
შავი დღე ამაშორეო,
გამკურნე, გამახალისე
და წელში გამასწორეო“.

ღრმათ ჩაუფიქრდა ინგლისი
ამა მეგობრულ თხოვნასა,
მაგრამ აძნელებს ეგვიპტე
წრფელი პასუხის პოვნასა.
თუ მოაშორა ეს „კუზი“
ვერ გადაიტანს ჭრილობას
და ამჯობინა მიმართოს
დიპლომატიურ ზრდილობას.
მან მოახსენა ოსმალოს:

—გულს ნუ გაიტეხ შვილოო,
ეგ სატკივრები, სულყველა
მძიმეა, გასაფრთხილოო...
მე კი აზრათ მაქვს შევკრიბო
„კონსილიუმი“ სრულათო
და ვითათბიროთ წამლებზე
ერთად და მეგობრულათო.



კავშირების ნანა.

იავ ნანა, ვარდო ნანა,
იავ ნანინაო...
კავშირებო, ეგრე ტკბილათ
რამ დაგაძინაო.
მიკიტნებთან მიგიგნიათ
თქვენ ტკბილი ბინაო,
დაიძინეთ გენაცვალე,
იავ ნანინაო.

კრებებსა და ლექციებს,
გვერდთ აუარეო,
ბევრი ვნახე მე იმათგან
გულით მწუხარეო.

დაიჭირეს და აჩვენეს
ციმბირის მხარეო,
შენ ერიდე ამგვარ საქმეს
და გაიხარეო.
ჟურნალ-გაზეთების კითხვამ
თავი გატკინაო,
კავშირიდან გვერდულ-გვერდულ
გამოგაძვრინაო,
მოგცა ნარდი, კამათელი,
არ მოგაწყინაო,
დაიძინე გენაცვალე
იავ ნანინაო.

დრო წავიდა, ჩემო გვრიტო,
დრო ,,სატანჯველიო‘‘
როცა ნარდი მოგეწყინოს,
კარტს მიყავ ხელიო.
არც ბახუსის სამსახური
არს საძრახველიო,
ღვინოს როგორ გაეთიშოს
კაცი ქართველიო.
რაში გარგებს რომ იცოდე
რა ხარ, ან ვინაო,
გაფიცვის დროს უკან დადექ,
ნუ წახვალ წინაო.
ელაქუცე შენს ხაზეინს
ვითარცა ფინაო,
დაიძინე გენაცვალე,
იავ ნანინაო.

ეშმაკი.

მათიას ოჯახი

ზაფხულში.

გრილა გარშემო... წმინდა ჰაერში
ღამის სიბნელე გადახლართულა,
და დილის ძილში გარემო მთვრალი
მწვანე წალკოტში ზანტათ ჩაკრულა.
სთვლემს კარმიდამო ტკბილის ოცნებით,
ციურის ცრემლით უხვად ნაბანი...
ვარსკვლავთა ციმციმს ვერ მოუძვრია
ჯერ მიწისათვის შავი საბანი.
ჰაერში სუფთა, სუნნელოვანი,
ირგვლივ სიჩუმე კდემა მოსილი...
ცის კაბადონი შავის საცმელით
ვარსკვლავ მიყრილი დგას შემოსილი.
ბნელეთს არ უნდა გაქრეს, წავიდეს,
გადაიხვეწოს შორს, სხვა ადგილას
და მისთვის არის სახე შეკრული:
აღარ იკარებს კარს მომდგარ დილას...
მარა მამალმა ფრთას ფრთა შემოჰკრა
დილის სიჩუმე მსწრაფლ გადალახა,
ღამისა სიკვდილს, დღის გათენებას
თავისებურათ შეყიკლ-შესძახა...
მას ბანი მისცეს მისმა ტოლებმა,
ბნელს დაატირეს, ნათელს შეხარეს...
გულის ნადები აღფრთოვანება
ერთად დასძახეს ხმა მიმკვდარ მხარეს...
შეკრთა მიდამო, გაწყდა სიჩუმე,
ყოველმა არსმა თვალი ახილა...
ეს არის ქრება შავბნელი ღამეც
და ახლოვდება ზაფხულის დილა...
მათიაც ადგა თვალების ფშვნეტით,
ტანსაცმელს ეძებს ის სასთუმალში...
ქოხში კი ბნელა... ველარ მიიტან
(როგორც იტყვიან) შენს თითებს თვალში.
წყნარათ მოაძრო ჩოხის ნახევი,
ულებო ლოგინს საბნათ ნახმარი,
დაღარულ შუბლზე ხელი გადისვა
მუშაობისგან თითქოს გამხმარი.
თან ტანთ ჩაიცვა... კარისკენ მიდის,
მიწის იატაკს მაგრათ აბიჯებს,
ცოლ-შვილს კი სძინავს, არავინ ისმენს
მისს მოძრაობას და ფრთხილ ნაბიჯებს.
კარი გააღო, დილა ეამა...
მიდის სათოხრად, მონახა თოხი,
მარა ხედავს რომ აღარ უღვიძებს
დაუძახებლათ მათიას ქოხი.
„სიკო, წამოდი ჩემთან ყანაში,
ადექ ზეზე, რა დროს ძილია?
უკვე მზე მოდის, იქ უნდა ვიყოთ,
ახლა აქ ყოფნა ხომ სირცხვილია!..
შენ, მარიკელა, რათ იგვიანებ?
მალე გადენე მინდვრათ ხვადგები*),
რაა ყოველ დღე ასე ცოლ იცი
და თავის დროზე აღარ ადგები?!“
ცხარობს მათია, მარა ბავშვები
ტკბილათ ხვრინავენ, ხმას არ იღებენ,
მამის დაძახილს, თან დედის ჩუჩხურს
არც კი ისმენენ, ყურს არ იღებენ.
გაწყრომის შემდეგ გამოაღვიძეს
თორმეტის წლისა პატარა სიკო...
თუმც ფეხზე მდგომი თან ჯუჯღუნებდა...
ჯერ კიდევ ჩვილი ტკბილ ძილში იყო.
„ა, თოხი ბიჭო, გამოიღვიძე,
წამო ყანაში, მოკიდე ხელი“!
ესმის მამის ხმა თვალებ მილულულს
და დედის წყრომა ერთობ ფიცხელი...
„შვილო, ნუ ზანტობ, გამოიფხიზლე,
ჰა, თან წაიღე მჭადის ნატეხი...
ჭამე ამ დილით... ჰე, მალე ქენი.
გაცოცხლდი ბიჭო, გაადგი ფეხი!“
სიკო ბუზღუნით თოხს მხარზე იდებს,
მიყვება მამას თითქოს მძინარე...
მამაც ყანისკენ მიდის სიჩქარით
კარგი ამინდით პირ მოკინარე.
„სადილს ყანაში მე ჩამოგიტანთ“,
ხმას მიაწვდინებს მათიას ცოლი,
ისიც ქმარივით ჩამოკინკული,
დუხჭირ ცხოვრების მასთან მებრძოლი...
აი მათიაც დილაზე ადრე
სიმინდში თოხნის გულ-გაღეღილი,
ნამში აზელილ მტვერით ფეხ გასვრილს
გვერდით უდგია თავისი შვილი...
ჯერ მზე აღარ ჩანს... მთების წვერები
ია—ნარინჯის ფერზე დამდგარა
და ლილის ფერი ნისლი ხევ-ხუვში
ჩაძინებულა, თითქოს ჩამკვდარა.
ცის კაბადონი თეთრ ფერს გადიკრავს
აღმოსავლეთით წითლად ნაღები...
ხან გამოშვებით მწყობრათ გაისმის
ფრინველთ ეღურტული, საამო ხმები...
მათიას ახლო სხვებიც თოხნიან,
ყველას ახარებს კარგი ამინდი...
ყანაში არის ამ ცქვიტ დილაზე
მოხუცი, ვაჟი, პატარა, დიდი...
აი ამორგო მნათობმაც თავი
და ჩაუკოცნა მთოხნელებს პირი,
მიუალერსა შრომისა შვილებს
ცდილობს ავიწყოს დარდი და ჭირი.
თან თან სიცხდება... მათია თოხნის,
თან არ იშორებს პატარა სიკოს,
ცდილობს გამოწრთვნას მუშაობაში
რომ ისიც მისებრ მუშაკი იყოს...
მზით დამწვარ პირზე ორთავ მამაშვილს
ოფლი ჩამოდისთ ვით ნაკადული...
ვერ დაუმალავს დაფხრეწილ პერანგს
მათიას ზურგი მზით დადაგული.
კარგად შეღალდენ ჩვენი მუშები,
სადილობის დრომც ჰა, მოატანა...

*) იმერულია, უწოდებენ ძროხებსა და ხარებს.

ავტ.

მათიას ცოლმაც მხარზე კალათით
გამოარღვია სიმინდის ყანა.

თან ცივი წყალი მოაქვს ხელდოქით,
ხის ძირს აშურებს ოფლად გაღვრილი...
სიკოცა ვერ ითმენს, თოხს გადააგდებს...
საჭმლისთვის მირბის დედისკენ შვილი.

დასხდენ სადილათ... თხმელის ფოთოლი
მიწის სუფრაზე სტოლსაფარია...
მჭადის ნაჭერი, რაღაც ფხალ-ფხული,
აი ამ სუფრას რა აბარია!

„უნდა ვიყიდოთ კიდევ სიმინდი,
დღეს ფქვილის კოდი გამოგვეცალა“,
მოკრძალვით ეტყვის ცოლი მათიას
რაკი სადილის ჭამა აცალა.

ის კი ხმას არ ცემს, მხოლოთ იოხრავს
და თოხნას იწყებს თავჩაქინდრული. .
თოხნის და თოხნის ხმის გაუღებლათ
მოწამლული აქვს გრძნობა და გული.

უკვე დაღამდა... მიდის სახლისკენ
ჩვენი მათია ფიქრში მცურავი,
აღარ ასვენებს მკაცრი ცხოვრება
სულის შემხუთი, უღვთოთ მწურავი.

,,სიმინდისათვის უნდა ვისესხო
„თითო აბაზათ“ ვინმესგან ფული“...
სიკოცა მას მისდევს ჩაფიქრებული
ისიც მამასებრ სახე შეკრული...

რით გადიხადოს, ვინ გაუსტუმროს
საწყალ მათიას ამდენი ვალი?..
აი რა უკლავს მუდამ მშრომელს გულს
და აი რისგან ეცრემვლის თვალი!..

ირგვლივ კი ბნელა... ბნელა გარშემო...
მთელი სოფელი შავათ ირთება,
ცის გუმბათში კი, მავ სარეცელში
ვარსკვლავთა გუნდი ციმციმებს, კრთება...

მუდამ უფიქრო, ბედით კმაყოფილ
ძირს დედამიწას სხივთ კონას ესვრის,
მარა გოდება, კბილთ ღრჭენა კაცთა
ჰკითხეთ ბედნიერს მხოლოთ თუ ესმის!...

ვ. მალაქიაშვილი

(შემდეგი იქნება).

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

ბათუმელ კვინწარი ეშმაკისა.

დიდო ეშმაკო! თქვენი მაღალ უეშმაკეულესობის მიერ ჩემდამო სარევიზიოთ ჩაბარებული რაიონი სხვა და სხვა „ინსტიტუტებითა“ ფრიად მდიდარ არს. დასაბამიდან აქ არსებობს ყოვლად სასარგებლო ინსტიტუტი ბანქოს მოთამაშეთა, კუდა-ბზიკა ხალხთა, ტვინ-ქარიან ქალ-ვაჟთა, მოარშიყეთა და სხვათა და სხვათა. არსებობს აგრეთვე შანტაჟისტ-ნაძირალთა ინსტიტუტი, რომლის არსებობამა დაბადა არსებობა „სტრაჟნიკთა“ ინსტიტუტისა. ამ უკანასკნელის დაარსების ისტორია ფრიად საგულისხმიერო არს და ამიტომ ნებას მივცემ თავსა ჩემსა შევეხო მას.

ნაძირალთა სიმხეცესა (ექიმი ტრიანდაფილიდისის გატაცება და მოკვლა) მოყვა ადმინისტრაციისაგან გამოცემა სავალდებულო დადგენილებათა, რომლის ერთი მუხლი ავალებდა სახლის პატრონებს მეეზოვეების დაქირავებასა. შეწუხდენ პატრონნი სახლისანი, ვინაიდან დაქირავება მეეზოვეებისა გამოიწვევდა მათგან ქანქართა გაღებასა. მიიდვენ შუბლსა ზედა თითნი, ჩაფიქრდენ, ვითარცა ბრძენნი და გადასწყვიტეს გამოეძვრინათ თავი იმა ხარჯისაგან თუ მთლად არა, რამოდენიმეთ მაინც. და მიაღწიეს სურვილსა ამას ფრიად ჭახრაკულათა. გადაწყვიტეს დაარსება ისეთი „ინსტიტუტისა“, რომლის არსებობა უფრო იამებოდა ადმინისტრაციასა და რომლის შესახებ ხარჯი განაწილებულ იქნებოდა მცხოვრებთა შორის. სახლის პატრონთა ინტერესების გამომხატველმა, საბჭოს ხმოსნებმა მოითხოვეს ქალაქის თავის მოადგილის ბაგითა ნებართვა სახლის პატრონთა და ხმოსნების შეერთებული კრებისა. შედგა კრება ესე, რომელსაც დავესწარი მათრახითა ჩემითა და ყურმან ჩემმან მოისმინა ჰიმნი მაძაგებელი მეეზოვეებისა და მათაყვანებელი „სტრაჟნიკთა“.

— ერთად-ერთი ხსნა ნაძირალთაგან „სტრაჟნიკებშია“, — ჰქუხდენ ორატორნი, — დავაარსოთ „სტრაჟნიკთა“ ინსტიტუტი, რასაცა დასჭირდების 80.000 ქანქარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს ბათუმის მცხოვრებთაგან და არა მარტო სახლის პატრონთაგან.

— ამინ! ამინ!—იყო პასუხი ყოველი მხრიდან.

— 200 „სტრაჟნიკი!“ ორასი!... — ჰქუხდა კრება.

წამოიმართა ყმაწვილი, წოდებული მიხაკოთ. იწყო თითისა ფრჩხილებზე ცმუკვა და ყანყრატომან მისმან არა თუ იყანყრატა საწინააღმდეგო „სტრაჟნიკთა“ ინსტიტუტისა, არამედ კვერი დაჰკრა დაარსებასა ამა ინსტიტუტისასა და დავკარ მათრახის წვერი ჩემი მიხაკოსა იმას ჯანგიანსა.

გრიშა კი მჭევრმეტყველურათ სდუმდა და მეტის მეტი გრეხითა იწყო დიდი ზიანის მიყენება ულვაშებისადმი თვისისა. ზიანი ესე ვერა ვსცანი საკმარისათ და ვუთაქე მათრახის კუდი მიხასა.

დაბოლოს წამოდგა სოსიკო და „რეჩსა“ გრძელში გაურია: „საზოგადოებასა ვერ იხსნის ვერცა სტრაჟნიკი ხუთასი, ვერცა ექვსასი, არამედ იხსნის მას მინიჭება თვითმოქმედებისა და გამართვა კრებებისა“, მარა ფრაზა ესე უმნიშვნელოთა ჩაინთქა მოჭახრაკებულსა გრძელსა „რეჩში“.

კრებამან ამან საგულისხმიერომან და სიტყვებმა იქ წარმოთქმულებმა ამითამაშეს მუზა და დამაწერინეს ლექსი ესე, რომლის ასლსა აქვე წარმოუდგენ თქვენ მაღალ-უეშმაკეულესობას, ხოლო დედანსა მისსა დიდისა მოწიწებითა ვაახლებ მიხაკოსა, გრიშასა და სოსიკოსა მისატევებელათ ცოდვათა.

კრებასა ერთს დავესწარი,
საქმე იყო სახიფათო,
ზე წამოდგა ჩვენი მიხა,
საქმით მცირე, ენით ფართო
და ღაღადყო: სტრაჟნიკების
მეცა მომხრე გახლავართო!
ვთქვი: მიეცა შენი ცოდვა
ვინც აქ გამოგაგზავნათქო!..
გრიშა სდუმდა ვითა თევზი,
გაჯდომოდა შიშის ქარი,
ღაწვს უბანდა მონადენი
სიმწუხარის ოფლის ღვარი.
შემეცოდა რა ვიხილე
ესოდენად განამწარი
და ვთქვი: რა ქნას—განსაცდელში
დაინახა სული მტკბარი!..
სოსიკო კი არ დადუმდა,
„სარეჩოთა“ აღძრა ენა,
ხალხის თვითმოქმედებაც არ
დაივიწყა, გაიხსენა,
არც ეშმაკს და არცა ღმერთსა
მიაყენა რამე წყენა,
ვთქვი: ცოდნია სოსიკოსა
ჭახრაკულათ „რეჩის“ დენა!..
თავმჯდომარემ რა შეატყო
„რეჩი“ ჰქუხდა სულ ერთგვარი,
ყველასათვის „სტრაჟნიკები“
გამხდარიყვენ სანუკვარი,
და რა დასვა კითხვა: „ადგეს
ვინც „სტრაჟნიკთა“ მომხრე არი“,
მიხა, გრიშა და სოსიკო
დაეყუდენ, როგორც სარი!..

კვინწარი.

შემთხვევა.

(ალეხის ნაამბობი)

(ვუძღ. ა. შუბნელს)

ვწევართ კარავში დაქანცულები,
ყველას მკვდრებივით ჩასძინებია,
მხოლოდ მარტო მე გამიტყდა ძილი
ჯერ თვალი თვალს არ მიჰკარებია.
აქვე წევს ბერი თავადი ვანო,
მაგრამ გემოზე არც იმას სძინავს,
ალბათ სიზმრები არ ასვენებენ,
რადგან ხან ბოდავს, ხან მწარეთ გმინავს.
შუაღამეა, გარემო ტყესაც
სძინავს. ფოთოლი არა შრიალებს,
მხოლოდ ხანდახან ღამის მგოსანი
ტკბილ ძილის პირსა ჩააწკრიალებს.
არა სჩანს მთვარე, ცა მოღრუბლულა
თითქო რაღაცას ფიქრობს ბუნება
და შავი ზღვისა ნელი ტალღები
ნაპირებს ჩუმათ ედუდუნება.
მე დამატყვევეს შავმა ფიქრებმა,
მკვირცხლმა ოცნებამ შორს გამაქანა,
მაგრამ ყველაზე მეტათ ჩამჭროდა
გულში დიადი ერთობის ხანა.
მახსოვს: სოფელში, ერთ დაძახილზე
მცხოვრებნი სწრაფათ შემოკრბებოდენ
და ტრიბუნიდან იმედის ხმები
ქუხილით ტყე-ველს მოედებოდენ.
ერი და ბერი, მტრები, მოყვრები,
ჩვენს დიად დროშას გარს ეხვეოდა
ერთად სიცოცხლეს, ერთად სიკვდილსა
ყველა ერთმანეთს ეფიცებოდა.
ქვეწარმავალთა გველებრ სისინი
ადამიანსა გულს არ სწამვლიდა,
ერთათა სძოვდა ცხვარი და მგელი,
ვინც რას დასთესდა, მას მოიმკიდა.
მახსოვს მას შემდეგ შავი დღეებიც,
დღესაც შავ ზეწარ გადაგებული,
ვხედავ სხივ ნაკრთობ ერთობის სახეს
და ამით უფრო მიკვდება გული.
საწყალი პეტრე!...რომ მოვდიოდით
ველარ ეშონვა ვერსად საგზალი
და რა გავეცან მის ვითარებას
მდულარე ცრემლით ამევსო თვალი.
სთქვა: ორი დღეა მთელი ცოლშვილით
ლუკმაც აფერი გვიჭამიაო,
შემომცქეროდენ ბავშვები ხელში
და ჩამძახოდენ: „ბაბავ მშიაო“.
ბევრჯელ ვიფიქრე მომეკლა თავი
როგორც ბებურამ, შიმშილისთვინა...

ერთხელ ცოლს რომ არ გადავერჩინე
უკვე მოვნახე მე ჩემი ბინა“.
საბრალო! როცა ამას ამბობდა
ჩამოეკიდა ცრემლები თვალზე,
მაგრამ ნუგეში რა უნდა მეთქვა,
როცა ეს ჭირი მეც მედგა თავზე.
ყოველ კვირაში „ეგზეკუციამ“
სულის გარეშე რა შეგვარჩინა?
ქურდ-ბაცაცობამ და ძარცვა გლეჯამ
ლამის ეგ სულიც ამოგვახდინა.
მიწა ჩვენ არ გვაქვს ჩამოსათოხნი,
აგერ მოვსულვართ დღიურ სავალზე
და ვიგლიჯებით ბარდ-ეკლოვანში
მწარე ოფლს ვაფრქვევთ სხვისა მიწაზე.
ამ უღრან ტყეებს ვკაფავთ საკანეთ
სხვები კარებზე მოგვადგებიან,
აგვატყავებენ ამ ჩვენს ნაოფლარს
და ურცხვად გზასა გაუდგებიან.
ასეა მუდამ და მოგხსენდებათ
აქლემი აქლემს რო ეჩხუბება,
კოზაკი სუსტი და დაჩაგრული
ყოველთვის შვაზე გაიჭყლიტება.
თუნდ აგერ მიხო ვანოსა ებრძვის,
დამუქრებიან კიდეც ერთმანეთს,
ნათლათ ვიცი, რომ რამე ხიფათი
კი შეემთხვევა მათში ერთს და ერთს.
მაგრამ რას დავსდევ რომ ამათ ჩხუბში
ჩვენ არაფერი შეგვემთხვეოდეს,
ჰოი, სადა ხარ ჩვენო ერთობავ!..
სიკვდიდმდე ერთხელ მომესწრებოდეს!..
მწარე ფიქრებში გადაცურებულს
ძილმა ნელ-ნელა თვალი მომპარა.
ეხლა სიზმრებში გადავერიე,
სიცხადეს ფარდა გადაეფარა.
უცებ რაღაც ხმა მომესმა გარეთ
შეშინებულმა ვჭყიტე თვალები,
ვხედავ თავადი სდგას რევოლვერით,
და როს გაიღო კარვის კარები,
დასჭექა თოფმა, ერთს სხვები მოჰყვა
თითქოს შეინძრა მთელი სამყარო,
ტყემ ბანი მისცა ქუხილ-ქუხილით
და მთას შესტყორცნა ეგ ხმა საზარო.
წამოვიწიე, წამოვდგებითქო,
მაგრამ ბეჭებში მეცხელა ტყვია,
იქავე დამცა, გათენებამდე
შემდეგ აფერი არ შემიტყვია.
მოვსულიერდი, გავაღე თვალი,
თურმე კიდევაც გათენებულა,
აქეთ შევხედე ბოქაული სდგას
იქით სტრაჟები ჩამწკვრივებულა.
ეგერ თავადი კართან აგდია
სისხლში მოსვრილი, გულ განგმირული,
პეტრეც მოუკლავთ, იქვე აგდია
წითელ მორევში შეცურებული.
აი სტეფანეც ცივი ხმით კივის,
ესეც დაჭრილა მძიმეთ საწყალი,
ეგერ სტრაჟნიკიც მომაკვდავის ხმით
იმუდარება: წყალიო, წყალი.
მოხდა ძიება: თურმე ნუ იტყვით,
თავადს თავადი ჩაუსმენია,
თითქოს ავაზაკს ყოველ კუთხისას
ჩვენსა ჰქონოდეს თავსარჩენია.
და ის იუდა დღესასწაულობს,
თავის მტერზედა ჯავრი იყარა,
და ამოდენი უმართლო მსხვერპლი
წვრილი ცოლ-შვილით ცეცხლში ჩაყარა.
ვინც მოკვდა, მოკვდა,
მე ძლივს გადავრჩი,
მაგრამ პეტრიამ მომიკლა გული,
როცა გავხედავ მისი მიდამო
როგორ პარტახათ არის ქცეული.
საბრალო თებრო, ცოლი იმისი
ტყედ დაწიალობს ჭკვიდან შეშლილი
და შარა გზაზე იხოცებიან
მისი უმწეო ობლები ჩვილი.
სად არის ძმაო აქ სამართალი?
ჰოი სად არის ერთობის ხანა!!!“
ეს სთქვა და ისე ამოიოხრა
თითქოს თან გულიც ამოატანა.

ვ. ჭყონია.

* * *

მძულს სიცოცხლე მარტოოდენ
ჭამა-სმაზე ანაგები,
თავისი „მე“-ს კერპად მჩენი,
სხვისთვის ცივი და ურგები.
მიყვარს კაცი ქვეყნისათვის
თავის თავის მსხვერპლად მწველი,
დაჩაგრულის მოამაგე,
მისი ფარი, მისი მცველი!

ნ. ზომლეთელი.

დაბა-სოფლები.

სად. ულუხანლუ. არა მგონია ისეთი მოხერხებული ვაჭარი სადმე მოიძებნებოდეს მთელ დუნიაზე, როგორიც ჩვენი გერმანე გძელიძე გახლავთ. წარმოიდგინეთ, როცა მყიდველს რაიმეს უწონის სასწორზე ისე დააწონის თავის ორ თითს, რომ რაც უნდა თვალსწრაფი იყო ვერ შეამჩნევ. ეს კიდევ არაფერი, როგორც სხვები, გერმანეც ხელს უმართავს მუშებს და ნისიას აძლევს. მაგრამ აღებას არ იკითხავთ? თუ ჯამაგირის აღებამდე არ გაისტუმრეს, გერმანე მუშტით ასწორებს საქმეს. ამას წინათ მძინარე კაცს მიეპარა და სცემა, ნისია გადაიხადეო. ეხლა გერმანეს აზრათ აქვს ასეთი ვაჭრობის პროექტი თფილისის წვრილ ვაჭართა ბიუროს გამოუგზავნოს.

მიხელა ოფონიესშვილი.

—

ს. ალი. შენი ჭირიმე ეშმაკო,
ქართლისკენ გადმოფრინდიო,
ალის სკოლა ინახულე,
საქმეა მეტად დიდიო.
ზაქარია დაპარპაშობს
გაავერანა ბაღიო,
საქმის „მოყვარული“ არი
გულ კეთილი და ლაღიო.
ამისთანა დიდ სოფელში
ვერ იშოვა მოწაფეო,
სულ ერთ ნახევარი ღა ყავს
და თან ჩივის: ვერ ვნახეო,
რომ უნდოდეს ვინმეს სწავლა,
აღარ ძულდეს ეს სკოლაო,
უხაროდენ ძველებურათ
აქ მოწაფების ყოლაო.
თუმც კი ფულებს ბევრს იხდიან,
შკოლაც ხომ მდიდარიაო...
მარა ეს რა?.. უნდა გითხრათ
„პრიგოვორის“ ძალიაო!..
ასე ამბობს ჩვენი ზაქრო
თან მიითლის, როგორც ეჩო,
ფრთხილათ დახვდი შენც ეშმაკო
გლახათ აღარ შეეხეჩო.
მოიმარჯვე მაგ მათრახი
გადასცხევი შენებურათ,
აუწითლე ზურგის კანი
ძველებურათ, ჩვენებურათ.

ეშმაკუნა.

—

ჭიათურა. 2 ღვინობისთვეს აქ ერთი საარაკო ამბავი მოხდა. საღამო ხანს საქეიფოთ ჩასულან სარდაფში დიდი იასონ და მისი ამყოლ-დამყოლნი. კარგათ გამობრუჟული იყვენ, რომ ვიღაც უცნობმა უთხრა: „იქეიფეთ, რა გიპირთო!“ ამის თქმა და იერიშის მიტანა ერთი იქნა. წამოცვივდენ ყველანი და გამოუდგენ უცნობს. ის გაიქცა და როგორც იქნა თავს უშველა. სამაგიეროთ გზაში შეხვდათ გლეხი. მივარდა ერთი მათგანი, უნდა გაკოცოო და ცხვირი კი მოსჭამა. გლეხი გაიქცა. შემდეგ დაერივნენ ერთმანეთს და სულ თავ-პირი დაამტვრიეს. მეორე დღეს ორ მათგანს ტუჩები მოპმული აღმოაჩნდათ.

„ვანელი ბაგრატა“.

—

ჩოხატაური. (გურია) თითქმის ყველა დაბა-ქალაქები ინახულა თქვენმა მათრახმა და ჩოხატაურმა რა დაუშავა, რომ ერთი აქაურ ვაჟბატონებს ვერ აუწვით ზურგის კანი?! მე მგონია, საჭირო იყო დათას, დათიკოს, გერასიმეს, სოლომონ და ხიტიას რიგიანათ შემათრახება. მათი ნახვა მუდამ შეიძლება ივანე ქართველის დუქანში. გამათრახების მიზეზი ის იქნება, რომ ამ ვაჟბატონებმა ფეხქვეშ გათელეს საზოგადოების დადგენილება და ისევ განაგრძობენ თავიანთ მოქმედებას. ხშირათ ვერც ჩვენი ფოსტის უფროსი იქცევა კარგათ, მარა, ჯერ ვაცალოთ. ექიმის და სხვების შესახებ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

შურდული.

—

ფოთი. (გოგიბერიძის ხერხის ქარხანა).
სიმონი შეხვდა კირილეს
და ჰკითხა: „ნათლი მამაო“,
შენ სად იყავი გუშინ რო,
მუშებთან გვქონდა დავაო?
ეგონა საწყლებს ძველებურ
იმათი ძალა გავაო,
მაგრამ ყოველი ერიში
უქმი შეიქნა ამაო.
ძველ პირობებში ჩავყარეთ
გუშინ ჩვენ საძირკველიო,
თუ ხელ-მეორეთ დიმიტრიმ
არ შეგვიშალა ხელიო.
— მაშ მომილოცავს, ნათლიჯან,
ბრწყინვალე გამარჯვებაო,
უფლების დასაძირკვლება
კედლების გამაგრებაო.
მაგრამ არ მჯერა რალაცა,
მგონი ვერ გავალთ ფონსაო
და გამარჯვების შედეგებს
არ ველით მოსაწონსაო.
მართალი გითხრა, ნათლიჯან,
გულში გამიდგა შიშიო,
რო დავინახე დიმიტრიმ
დაიწყო ანგარიშიო.
გაზეთშიც გავილანძღებით
არ უნდა ლაპარაკიო
და რათ გვპიროდა გენაცვა,
ეგ მეტი ფათარაკიო.

შ. მეთვალყურე.

—

ქუთაისი (დეპო).
შენი ჭირიმე, ეშმაკო,
რათ აგვარიდე სახეო,
ერთი ჩამოდი ქუთაის
დეპოს მუშები ნახეო.

ბევრი დაგხვდება, მერწმუნე
საკუდინ, სამათრახეო,
მაგრამა ფრთხილათ იყავი
შენც არ დაგიგონ მახეო.

გადაგვერია „ულვაშა“
მოჩურჩულ ენა მკვახეო,
არ დაელია, არ იქხა,
საქმენი სავაგლახეო.

არ დაიშურო, გენაცვა,
იმისთვის კუდის წვერიო,
არ იცნობ, თორემ იცოდე
„ნამსახურია“ ბევრიო.

ნიკო, ერმილ და პორფილე,
ბებერი ცაგარელიო,
იმისი შეგირდებია,
ღმერთმა უმართოს ხელიო.

მათი ნაწერი „რეცეპტით“
ბევრს აუტკივდა თავიო
და ბევრს კიდევაც ასტკივა
თუ დაგრჩათ უნახავიო.

ეკალი. *)

—

ჭიათურა. ძმაო ეშმაკო, გემდურით
რომ ჭიათურა დაგრჩათა,
უმუშევრების მიზეზით
ბევრმა გაგასწროთ „დაჩათა“.

ნუ შესწუხდები ამითი,
მაინც გეყოფა სამკალი,
აქ შენი ჩამოფრენითა
ბევრს აუტყდება კანკალი.

უწინარესად ეწვიე
„ვოდოპროვოდჩიკ“ მიტროსა
უთხარ: დაეხსნას იმ საქმეს
და ჭკუიანად იყოსა.

ნუ დაივიწყებ ნოესაც
ძმა ბიჭი არის დამქაში ..
საპიკკიმ დააჯილდოვა
ბლომა ჭორების ჩმახვაში!

დომენტი ულვაშ კვნეტია
სხვა დამქაშებზე მეტია,
ერთი იმისაც გაჭკარი
კუდ მწარე, განამეტია.

ეშმაკო, მოსცხე სუყველას,
ერთ ჩანგზე ვის ეჭვერია,
ინტერესების დამცველათ
ვინც ნახა ინჟენერია.

ვუშინ ვინც ძმობა შეგვფიცა
დღეს ბნელ-ძალებად გამხდარან
გამოაფხიზლე „მათრახით“
რაკი რომ ასე წამხდარან.

შემდეგ გადმოდი ბაზრისკენ
ნახე მეფართლე სიმონა,
რომელმაც გიიძვერობით
ბევრი დატანჯა, იმონა.

და უთხარ: ჩარჩო ქვეყნისავ
როცა რომ შიშით კვდებოდი,
ხელს აფარებდი ძველ ცოდვებს
ხალხს ძმობას ეფიცებოდი...

ესე უთხარი და სტკუცე
საგრძნობლად დაუნდობლათა,
რომ ჩანადენი ცოდვები
ედინოს ჭირის ოფლადა.

გთხოვთ ნუ დასტოვებთ უნახავს
აქ მეწვრილმანე ლადოსა...
სტრაჟებზე შეყვარებული
სხვას ვერვის პოებს სანდოსა.

„იმათ“ კამეჩად რომ ნათლავს
და ხალხს მათ მარჩოლ ხარებად,
თითონ ყოფილა კამეჩი
და მოსცხე აუჩქარებლად

ჭიათურელი ეშმაკი.

—

ს. მაღლაკი. აქ თითქმის ყოველ კვირაში იმართება: ლატარიები, ვეჩერები და სხ. ამას წინათ ლატარია გამართეს იულოსას, დაესწრო დიდ-ძალი ხალხი. იყო გამართული აგრეთვე ბუფეტი, სადაც კარტის თამაში და სმა მთელი ღამე არ შეწყვეტილა, მასთან ჩხუბიც. სიმონ იაგორიჩი რომ არ ყოფილიყო იქნებ ჩხუბიც არ მომხდარიყო. მეორე კვირაში გაიმართა მეორე ოჯახში, სადაც მთელი ღამე სმაში გაატარეს. ჩხუბი და მიწევ-მოწევა მხოლოდ დილით დაიწყო, რადგანაც ნახარჯი ვერ გაესწორებინათ და საქმე დაბოლოვდა მით, რომ ერთ ყმაწვილს, კუპულოს ქუდი დაატოვებინეს ნახარჯში.

იქაური.

—

საბუნჩა. ეშმაკო, მოგესალმები,
ღმერთმა თქვენ მოგცეს ბარაქა,
ვიცით, რომ თქვენმა მათრახმა
ბევრს თავის ძალა ანახა.

ეხლა კარგს იზამ, კეთილო,
საბუნჩას ინახულებდე
და ლომთათიძე თეოფანს
კარგად რომ შეახურებდე

აბა, ვის უნდა მივმართოთ,
სხვა არვინ არის მხსნელია,
მხოლოდ გვიშველის მარტოკა
შენი მათრახის წვერია.

ეს ვაუბატონი აქეთკენ
საგმირო საქმეს ჩვევია,
გალანძღვა სიტყვის გადათქმა
ყველაფერს-კი ურჩევნია.

ჯერ ერთს ვაკმაროთ,
შემდეგ სხვებს
მოგითხრობ ერთობ ყველასა,
მათრახით, სპერმა-კუდინით
ნურც მათ დააკლებთ შველასა.

კ. იკაკა—ძე.

---

*) თქვენ სხვისი ფსევდონიმი მოგეწერათ და რედაქციამ შეგიცვალათ. „შხანკოლას“ სხვა კორესპონდენტი აწერს.

პარლამენტარიზმი ოსმალეთში.



თავისუფალი არჩევნები. | დეპუტატი. | პირველი სესიის დასასრული.

დეპეშები

პეტერბურგი. ,,ჰეშმარიტ სტუდენტებს'' და გაფიცულებს შეტაკება მოუვიდათ. თუმცა ,,ჰეშმარიტნი'' ნიჩბებით და ჯოხებით შეიარაღებულნი იყვენ, მარა მაინც სამარცხვინოთ დასტოვეს ბრძოლის ველი და უკუიქცენ. არიან დაჭრილები.

მოსკოვი. სტუდენტები ბრძოლით დაიღალენ და ისევ განაახლეს მეცადინეობა.

კიევი. სტუდენტებმა შეასრულეს თავიანთი მისსია და სწავლა დაიწყეს.

ქუთაისი. დაიკარგა ქართული თეატრის დასი. ამბობენ სამათხოვროთ წავიდაო.

ოზურგეთი. გაშავებული ,,ნაქალაქასთავარი'' თავის მოღვაწეობის აღწერას შეუდგა. ჩქარა დასაბეჭდათ მზათ იქნება; გამოსცემს ჰავლე აკობია.

გურია. ყანები აიღეს. ,,კრამოლნიკებზე'' ნადირობის სეზონი დაიწყო. მონადირეები კმაყოფილნი არიან.

აგენტების საყურადღებოთ:

ვაცნობებთ პატივცემულ აგენტებს, რომ დღეიდან ჩვენი ჟურნალი ეგზავნებათ რედაქციისაგან და არა ბიუროს კანტორიდან. ამიტომ აგენტებმა რედაქციასთან უნდა იქონიონ ყოველივე მიწერ-მოწერა და პირობების გაგება.

საჭიროა ანგარიშების ყოველ კვირაში გასწორება და აგრეთვე ორი ნომრის ღირებული ზალოგის გამოგზავნა იმის მიხედვით, თუ რამდენ გაზეთს ღებულობს აგენტი.

ვინც მომავალ პარასკევამდე ზალოგებსა და გაყიდულ ანგარიშს არ გაგვისწორებს, რედაქცია შეაჩერებს იქ გაზეთის გზავნას, სანამ ახალ აგენტს არ აიჩენს.

ვისაც ეძნელება ყოველ-კვირაში ანგარიშის გასწორება, მას შეუძლია მეტი ზალოგი გამოგზავნოს და იმის მიხედვით რედაქციაც არ შეუჩერებს გაზეთის გზავნას.

დარჩენილი ნომრები ჯერ-ჯეროობით შეინახება, ხოლო წინანდელი ნომრები, 1, 2, 3, რაც დარჩა უნდა გაეგზავნოს ბიუროს სხვა გაზეთებთან ერთათ.

ამ ნომრების ანგარიშიდან ჩვენს რედაქციას აქვს მიღებული: ფოთიდან—15 მ. 56 კ. ოზურგეთიდან—6 მ. 26 კ. და ჩოხატაურიდან—5მ. 95 კ. სულ—27 მ. 77 კ. რომელიც უკვე შეტანილი აქვს ბიუროს თავის ანგარიშში მიღებულათ. მე-3 ნომრის ანგარიში ვისაც არა აქვს გაგზავნილი, შეიძლება ჩვენს რედაქციაში გამოიგზავნოს. ამ ნომრის ანგარიში ჩვენ ჯერ არა გვაქვს მიღებული და უფრო ადვილად გავსწორდებით ბიუროსთან.

ადრესი: Тифлисъ, ред. »Матрахи", Теофилу Ерастовичу Болквадзе.

რედაქტორ-გამომც. თ. ე. ბოლქვაძე.

ყოველ-კვირეული

გამოდის ყოველ კვირაობით,

წელიწადში ჟურნალი ღირს 5 მან. წლის დამლევამდე 1 მან. 50 კ.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები უკანასკნელ გვერდზე სტრიქონი 20 კ.

ფული გამოიგზავნება შემდეგ ადრესზე: **Ред. „Матрахи" Теофилу Ерастовичу Болквадзе.**

ელექტრომბეჭდავი ამბ. „ზრომა" თფილისი.